21/02/2024

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ლევან თედიაშვილის გარდაცვალების გამო



დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით გამორჩეულ პიროვნებას, დიდ ქართველსა და ლეგენდარულ მოჭიდავეს, – ბატონ ლევან თედიაშვილს.

ჩვენი ხალხის მეხსიერებაში, მრავალ სპორტულ მიღწევასთან ერთად, იგი დარჩება ვაჟკაცობის სიმბოლოდ, როგორც ეს ფილმებში, – ,,ხარება და გოგია“ და ,,მეოთხე ბრაიტონშია“.

შევთხოვთ ღმერთს, სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მოანიჭოს ლოცვის ძალა და განამტკიცოს რწმენამ იმისა, რომ გარდაცვალება არ არის სიცოცხლის დასასრული, არამედ დასაწყისია მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლისთვისაც ყველანი უნდა ვემზადებოდეთ.

ილია II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel: (995 32) 2990378
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

## ლევან თედიაშვილის გარდაცვალების გამო

დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით გამორჩეულ პიროვნებას, დიდ ქართველსა და ლეგენდარულ მოჭიდავეს, - ბატონ ლევან თედიაშვილს.

ჩვენი ხალხის მეხსიერებაში, მრავალ სპორტულ მიღწევასთან ერთად, იგი დარჩება ვაჟკაცობის სიმბოლოდ, როგორც ეს ფილმებში, - „ხარება და გოგია" და „მეოთხე ბრაიტონშია".

შევთხოვთ ღმერთს, სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მოანიჭოს ლოცვის ძალა და განამტკიცოს რწმენამ იმისა, რომ გარდაცვალება არ არის სიცოცხლის დასასრული, არამედ დასაწყისია მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლისთვისაც ყველანი უნდა ვემზადებოდეთ.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

19.02.2024

patriarchate.ge